# სახალხო გაზეთი

№ 162 პარასკევი, 19 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 162

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ეკატერინე მიხეილის ასული ხაჟავარელიძე შვილებით, აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას 17-ს ნოემბ. საყვარელ მეუღლისა და მამის

გაბრიელ ბექანის ძის საყვარელიძისას

პანაშვიდი ყოველ დღე სად. 6 საათზე. არცრუნის ქ. № 27. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—223—1)

კვირას, 21 ნოემბერს, ქ. ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

ვარამ ბესარიონის ძის დათეშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე მისი მართა სტეფანის ასული დათეშიძისა შვილებითურთ და ირინე ბესარიონის ასული შვილებითურთ. (2—221—1)

ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ 19 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე № 11, გადახდილ იქნება პანაშვიდი ამავე ბანკის განსვენებულ იურისკონსულტის

გაბრიელ ბექანის ძის საყვარელიძის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ბუნებრივი კახური

ღვინოები

კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან

ძმ. ხელაშვილებისა.

სარდაფი ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11.

სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.

ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.

(20—195—6) პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.

ნინო ჩხეიძის გასტროლი

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი წარმოდგენა №

კვირას, 21 ნოემბერს, 1910 წელს,

ნ. პ. ჩხეიძისა და ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ოქროს ჩოხა

[Title as printed: ღ ა ლ ა ტ ი]

დრამა 5 მოქმედებად. ი. სუმბათაშვილისა, თარგ. გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ლეჟავა ო., ჩერქეზიშვილი, პიმერტა, ჩხეიძე, ჯავახიშვილი ბ-ნნი: აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, ა. ალექსიძე, გუნია, ყიფიძე, მესხი, მატარაძე, მდივანი, მგალობლიშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი ვლ. ს. ალ. მესხიშვილი.

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში მეგირდეებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „მეუფება წყვდიადისა", „ყარაღები", „მისს გობს", „ოქროს თაღა" და სხვ. (2—ფ.—1)

ვაჟთლის კერძო საავადმყოფო

ბავშვთა კლინიკის კერძო სამკურნალო

[Heading as printed: ვაგზლის კერძო სამკურნალო]

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

მ. ბეზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. ლეხსაძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. გ. მეღვინეშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ... —ყელ., ყურ., (ცხვირ. და ... ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ე. გ. ფილადელფოვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—492)

მოითხოვეთ ახალი პაპიროსი

„ანფისა"

ფასი 15 ცალი 6 კაპ.

„ 25 „ 10 კაპ.

„მირის" ფაბრიკისა.

მიუხედავად იაფი და ყველასათვის მისაწვდომ ფასებისა, პაპიროსი „ანფისა" შემზადებულია მაღალ ხარისხოვან და გემოვნების თამბაქოსაგან.

მიაქციეთ ყურადღება საუკეთესო ხარისხს და გემოვნებას. (15—150—13)

მოითხოვეთ ბუნებრივი

კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ.-ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—11)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღით და ღამით.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირხალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—329)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრესს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 488.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე

ი. მ. ახმახოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

ნიკოლაევი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

ხარაპ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

ვეხელთვეზიროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 ნახ. საათ. 10 ნახევარ ს. ყოველ დღე.

ფონდოევი—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 11—12 საათ.

ხატისოვი ნ დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათიშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—22)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—266

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინსკის ქუჩა N 7. თ.—180—34

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10—12 საათამდე, საღამ. 5—8 საათ.

ექიმი ე. ი. მინასიანცი

ხწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ მატშიეუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—25)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—85)

ექიმი ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—16)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## ტფილისი, 19 ნოემბერი

**თვით-მოქმედება.** საქართველოს დაბა-სოფლებიდან მოწერილი ამბები საკმაო ნათელსა ჰფენს ჩვენის ხალხის მეტად გაჭირვებულ მდგომარეობას როგორც ეკონომიურად, ისე უფლებრივად. თითქმის ყველა კორესპონდენტი ეხება პროვინციელ ბიუროკრატიის ყბად-აღებულ მოღვაწეობას და დაწვრილებით აღნიშნავს, თუ რას სჩადიან მაზრის უფროსები, ბოქაულები; მამასახლისები, ფერშლები და სხვანი. სოფლის მოკეთეთ ყოველგვარ უკუღმართობის მომსპობ მალამოდ ბეჭდვითი სიტყვა მიაჩნიათ; ჰგონიათ, რომ ამა თუ იმ მოხელის საქციელი რაკი გამომჟღავნდება, ბოროტებასაც ბოლო მოეღება. ყოველ შემთხვევაში სოფლის ჭირისუფალთ ადგილობრივ თვითმოქმედება ნაკლებ აჯობიათ, დედაქალაქს მისჩერებიან და მის ინტელიგენციისა ან მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებისაგან მოელიან ხსნას...

ბეჭდვითი სიტყვა დიდებულია, მაგრამ მაინც ყოვლის შემძლე არ არის. სამწუხაროდ, დღევანდელს პირობებში, გაზეთი უძლურია ყველაფერს შეეხოს. ისეთ რამესაც აკისრებენ გაზეთს, რომელიც ადგილობრივ არის გასაკეთებელი. ხალხის შეგნებული ნაწილი თვითონ უნდა იცავდეს თავის შელახულ უფლებას. სოფლის მასწავლებელნი და მღვდელნი ყოველ-წვრილ მოხელეთა საქციელის გაზეთში გამოქვეყნების მაგივრად უნდა სცდილობდნენ თვითონვე აღძრან შუამდგომლობა, მოსთხოვონ კანონის აღსრულება, ვისაც ჯერ არს; შეკავშირდნენ თვითონ დღევანდელ კანონის საზღვრებში მაინც და დაიცვან თავისი და ხალხის უფლება. თორემ რასა ჰგავს?—ცემა-ტყეპისა და პიროვნების სხვაგვარ შელახვის დროსაც არავინ იცავს იმ მცირე უფლებასაც, რომელიც მის ხელთ არის, და სხვას შესჩერებია, ვინძლო ვინმე მოგვხედოს და დაგვიცვასო!

გაზეთს მაშინ აქვს ძალა და გავლენა, როცა მის გარშემო თვითმოქმედი ელემენტები ბლომად მოიპოვებიან. გაზეთის სიტყვა, რაც უნდა ძლიერი და ავტორიტეტიელი იყოს მაინც სიტყვაა. ხოლო საქმე სწორედ იმ პრაქტიკულ თვითმოქმედებაშია, რომელიც აკლიათ დღევანდელ სოფლის ჭირისუფალთ. და რაღა გასაკვირველია, მათზე უფრო ენერგიულ და დახელოვნებული სოფლის ბიუროკრატია ჭურჭელს ყურს საითაც უნდა, იქითკენ გამოაბამს! აქ სოფლის ინტელიგენცია და სოფლის ბიუროკრატია პირის-პირ ხვდებიან ერთმანეთს და, სამწუხაროდ, გამარჯვება მარტო ფიზიკურ ძალით არ აიხსნება.

ხალხის პატრონი, უწინარეს ყოვლისა—თვითონ ხალხია და ყოველ მისთვის დასჯილთა ცდა უნაყოფოდ ჩაივლის, უკეთუ ის მცირედი ღონისძიებაც, რომელიც ჯერ კიდევ მოეპოვება, არ აამოძრავა თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. არავის ისე ზედ გამოჭრილად არ უდგება, სამღვთო წერილის სიტყვები, როგორც სოფლის გულ-შემატკივართ „სიტყვა უსაქმოდ მკვდარ არს"!

## სახელმწიფო სათათბირო

**კაპუსტინი თავმჯდომარეობს.** სასკოლო კანონ-პროექტის 32 მუხლს კადეტთა და პროგრესისტთა შესწორებით ღებულობენ ასეთის რედაქციით: 1) მასწავლებლად არ შეიძლება განწესდნენ სამართალში მიცემული და სასამართლოს მიერ ღირსება აყრილი, უფლება შეზღუდულნი, სამსახურიდან დათხოვნილი, ქურდობისათვის დასჯილნი, ყალთაბანდობისათვის პასუხისგებაში მიცემულნი, სხვათა ქონების მიმთვისებელნი, ნაქურდავის შემნახველნი და მსყიდველნი, ნაქურდავის დამგირავებელნი, ან დატყუებით შეძენილ ქონების მსყიდველნი, მოვახშენი, მკრეხველნი, თუნდაც ამაში სასამართლომ გაამართლოს კიდეც, ან მორიგებით გათავდეს საქმე, ან უმოწყალეს მანიფესტით, ან უმაღლესის ბრძანებით ეპატიათ, პასუხის გებაში მიცემულნი, რომელნიც საქმის გარჩევამდე მთავრობის თვალყურის გდებაში იმყოფებიან; 3) გაკოტრებულად გამოცხადებულნი, სანამ საქმის გამოძიება დასრულდებოდეს; 4) აპეკუნობის ქვეშ მყოფნი; 5) ისეთი გაკოტრებულნი, რომელთა უსახსრობაც დამტკიცებული არ არის; 6) ბიწიერებისათვის მღვდლობიდან გადაყენებულნი და ხარისხ აყრილნი, და 7) სამხედრო ბეგარის დებულებათა მე-389 და 340 მუხლის დამრღვევნი.

**განათლების მინისტრის ამხანაგი გეორგიევსკი.** მე-33 მუხლის წინააღმდეგ ლაპარაკობს. იგი ამტკიცებს, რომ მასწავლებელთა განწესების საკითხი მთავრობის რედაქციით უნდა განისაზღვროს: მთავრობისა, ერობათა, ქალაქისა და წოდებათა სკოლებში მასწავლებელთა განწესება განცხადებითის ნებით უნდა ხდებოდეს, ხოლო საზოგადოებათა და კერძო პირთა სკოლებში მასწავლებელთა განწესება ნებართვითი წესით უნდა ხდებოდეს. მთავრობას უფლებას ვერ ჩამოვართმევთ, რომ კერძო პირთა სკოლებში თვითონ ან წესებდეს მასწავლებელს.

მომხსენებელი **ფონ-ანრეპი**. წინადადებას იძლევა, რომ მე-33 მუხლს შენიშვნა გაუკეთდეს, რომელიც მთავრობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს.

სათათბიროს შრომის ჯგუფის შესწორება უარჰყო, ფონ-ანრეპის შესწორება დაგვიანებულად ჩასთვალა და მე-33 მუხლი კომისიის რედაქციით მიიღო.

დანარჩენი მუხლები უკამათოდ მიიღეს.

წესდების თავი, რომელიც ეხება პედაგოგიურ საბჭოებს, დირექტორებს, და სასწავლებელთა ინსპექტორებს უკამათოდ იქმნა მიღებული.

მე-39 მუხლიც უკამათოდ მიიღეს.

მე 40 მუხლი, მცირე კამათის შემდეგ, მიიღეს. კოვალევსკის შესწორებით, რომ ერთს ინსპექტორის მეთვალყურეობას 75 სკოლაზე მეტი არ ექვემდებარებოდეს, და ალექსეევის შესწორებით,—რომ იმ გუბერნიების ინსპექტორთა უფლებანი, სადაც ერობა არ არის, ერობათ ინსპექტორების უფლებას გაუთანასწორონ და დირექტორების შვილები ყველა საშუალო სასწავლებელში სწავლის ფულიდან გაანთავისუფლონ.

მე 43 მუხლი კამათს იწვევს. სამინისტროს პროექტის წინააღმდეგ ამ მუხლში კომისიის აზრია მოხსენებული, რომ პირველ-დაწყებითი სკოლათა ინსპექტორს უფლება არ უნდა ჰქონდეს სასწავლო პროგრამის შესრულებას ხელმძღვანელობა გაუწიოს.

**მამა მეჯეცკი, იანუშკევიჩი, ტანინი და მარკოვი მეორე** ამ უფლების შერჩენას ემსახურებიან.

მინისტრის ამხანაგი **გეორგიევსკი** ამტკიცებს; ინსპექტორს, რომ მხოლოდ მეთვალყურის უფლება მივცეთ და არა ხელმძღვანელისა, მისი თანამდებობა ფიქციად გადიქცევა; და კომისიის პროექტის მიღება ინსპექტორის როლს კი არა, მთავრობის როლს დაამცირებს. თუმცა მთავრობა ადგილობრივ საზოგადოებრივ ელემენტებს რომ ფართე ასპარეზს უხსნის სკოლის საქმეში, მაგრამ მას არ შეუძლიან თავისი უფლება არ შეინარჩუნოს და ინსპექტორთა უფლების აღკვეთა არ მოითხოვოს.

**მამა სტანისლავსკის** აზრით ინსპექტორი მოკლებულია სასწავლო

წლის განმავლობაში ყველა სკოლებს ჩამოუაროს ხოლმე.

**მომხსენებელი ფონ ანრეპი** ამტკიცებს, რომ ინსპექტორთა კომპეტენციის აღდგენა რასაც სამინისტროს პროექტი ითხოვს, მთელის კანონ-პროექტის უარყოფაა. კომისიის პროექტი. სახალხო განათლების საქმეში ორ მოქიშპე ბანაკად კი არა ჰყოფს, — მთავრობისა და საზოგადოებისა.— არამედ იგი ამ ორ ძალთა გაერთიანებას ესწრაფის და სურს, რომ ამ საქმეში მთავრობის უფლებანი და საზოგადოების ძალნი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთად ვიდოდნენ. პროექტის მომხრენი სკოლის ადმინისტრატიულს ხელმძღვანელობას მთლად ინსპენქტორს ანდობენ, ხოლო პედაგოგიურს კი—სამოსწავლო საბჭოს აკისრებენ: აქ განხეთქილებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. რუსულ თვითშეგნების მღაღადებელნი, ოცნებას ებრძვიან, მათი ლაპარაკი მუქარაა და არა კეთილსინდისიერი კრიტიკა. (მემარჯვენეებს მიმართავს) თქვენა გნებავთ დრო-მოჭმული ინსტიტუტი აღადგინოთ ის ინსტიტუტი, რომელმაც მისდამი გამოცხადებული ნდობა ვერ გაამართლა. თქვენ, ასე გულმოდგინეთ ზრუნავთ რუსის ერის სარწმუნოებრივ ზნეობრივ აღზრდაზე,—მე კი ახლოც არ მიგაკარებდით არც სკოლასთან, არც რუსის ერთან, რადგანაც სკოლაში თქვენ, ვგონებ, უგასახიჩრებდნენ, ვინაიდან თქვენ ასახიჩრებთ რუსულ სკოლას (ხანგრძლივი და ძლიერი ტაშის ცემა მარცხნივ და ცენტრში).

მე-43 მუხლს ცენტრისა და ოპოზიციის უმრავლესობით, მამა სტანისლავსკის შესწორებულს, კომისიის რედაქციით ღებულობენ.

მე-44 მუხლი აღნიშნავს იმ შემთხვევებს, როდესაც ინსპექტორს უფლება აქვს სამოსწავლო საბჭოს დადგენილებაზე პროტესტი განაცხადოს. ეს მუხლი კოვალევსკის შესწორებით იღებენ; ეს შესწორება ამბობს, რომ ინსპენქტორს უფლება აქვს მხოლოდ ისეთ დადგენილებაზე განაცხადოს პროტესტი, რომელიც განაპირა ქვეყნების სკოლებში რუსულ—ენის სწავლებას ეხება.

მე-46 მუხლი განმარტავს, რომ, როდესაც სკოლის შემნახველნი სასკოლო დებულებას დაარღვევენ, ინსპენქტორის უფლება აქვს, თუ საქმე დაყოვნებას ვერ ითმენს, სკოლა დაჰკეტოს და მასწავლებლებიც გადააყენოს.

**მამა ტიტოვი** შესწორებით ასეთი განკარგულება ინსპექტორმა სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით უნდა მოახდინოს.

**ნეკლიუდოვის.** შესწორებით, ინსპექტორს ასეთი განკარგულების უფლება აქვს, თუ მასწავლებელი არღვევს სასკოლო დებულებას და არა სკოლის შემნახველი.

ორივე შესწორებით ეს მუხლი დაამტკიცეს.

სასწავლო საქმის ხელმძღვანელთა უფლებაზე კამათობენ.

**ტიჩინინის** ფორმულას ღებულობენ, რომ განათლების სამინისტრომ იზრუნოს, რათა რკინის გზის ლიანდაგზე უმაღლეს ტიპის პირველ დაწყებითი სკოლები გახსნას.

სკოლის ხელმძღვანელთა შესახებ თავის განხილვის დროს, განათლების მინისტრის ამხანაგი გეორგიევსკი წინააღმდეგია, რომ სკოლის შემნახველთა სწავლის ხელმძღვანელთა მოწვევის უფლება ჰქონდეთ, რადგანაც ინსპენქტორებსა და სწავლის ხელმძღვანელთა შორის შესაძლოა კამათი გაიმართოს, რას შედეგად მასწავლებლის დაჩაგვრა მოჰყვებოდა.

**მარკოვი მეორეს** აზრით სწავლის საქმეში ასეთ ხელმძღვანელთა ჩარევა სკოლაზე მავნე ელემენტებს მისცემს გავლენის უფლებას.

**ტიჩინინი.** წინადადებას იძლევა, რომ ასეთ ხელმძღვანელებად მხოლოდ უმაღლეს განათლება მიღებულნი იყვნენ ხოლმე.

სათათბირო ყველა შესწორებას უარჰყოფს და კომისიის რედაქციას ღებულობს. მე-45 მუხლის განხილვაც კამათს იწვევს. ამ მუხლით სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარედ თავად-აზნაურთა წინამძღოლნი კი არა ერობის კრებისა და ქალაქის თვითმართველობის საბჭოს მიერ განსაკუთრებით არჩეული პირნი უნდა იყვნენ.

გრაფი ბობრინსკი პირველი, ტანცოვი, ბარონი როზენი, ვ-დი კორაკინი, ნეკლიუდოვი და ვეტჩინინი, აღნიშნავენ რომ თავად-აზნაურობას რუსეთის განათლების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის, ამისათვის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ეს უფლება არ უნდა ჩამოერთოს.

ამ საკითხის განხილვა პარასკევისათვის გადასდეს.

**სადამოს სხდომაზე კაპუსტინი თავმჯდომარეობს.** ნოვოჩერკასკის სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარის ხლოდოვსკისა და გამომძიებელ ლიტინის უკანონო მოქმედების შესახები მოხსენების განხილვა 121 ხმით 78 წინააღმდეგ უარყოფილია.

ნოვოროსიისკში მომხდარ არეულობის დროს მთავრობის უკანონო მოქმედების თაობაზე ორი ფორმულა წამოაყენეს, ერთი სათათბიროს დეპუტატმა პილიპენკომ — მორიგ საქმეებზე გადასვლისა, ხოლო მეორე 17 ოქტომბრის ფრაქციამ.

**მარკოვი მეორე** აცხადებს რომ მემარჯვენენი ყოველ გვარ ფორმულის წინააღმდეგ მისცემენ ხმას, რადგანაც მთავრობის მოქმედების კანონიერება დამტკიცებულია, ხოლო ცენტრის მიერ წარმოდგენილი ფორმულა, რომელიც მხოლოდ მემარცხენეთა საკადრისია—დანაშაულობად მიგვაჩნია.

მისი ლაპარაკის დროს ძლიერი ხმაურობაა და ყვირილი. ხუთი წუთი გადის.

**პილიპენკო** თავის ფორმულას იცავს და აცხადებს: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ნოვოროსიისკში საქმის გარჩევის დროს, ბევრი, მოწმედ დასახელებული, სამხედრო წოდების პირნი, ადმინისტრატიულად ბევრგვარად დასაჯეს, რომ, თუმცა მთავარმმართველი სრულიად კანონიერად მოიქცა, მაგრამ ეს კანონიერება უფრო ფორმალური იყო, ვიდრე არსებითი... სათათბიროს სამართლის ასეთი წარმოება შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ იუსტიციის მინისტრმა შესაფერი ზომები მიიღოს, რათა მომავალში მაინც სასამართლოში საქმის გარჩევა უზრუნველყოფილი და ყოველგვარ ზეგავლენას აცილებელი იყოს.

პილიპენკოს სიტყვის დროს, მემარჯვენენი ყვირილითა და ხმაურობით დარბაზს აყრუებენ. 130 ხმით, 113 ხმით 113 წინააღმდეგ, პილიპენკოს ფორმულა უარყოფილია.

ოქტომბრისტების ფორმულას კითხულობენ: „თუმცა დაწესებულებათა და ადმინისტრატიულ პირთა მოქმედებაში სათათბირო უკანონობას არა ჰხედავს, მაგრამ მოწმეთა ჩვენების მიცემის დროს ადმინისტრაციის მიერ რაიმე ზომების მიღება, ყოვლად შეუწყნარებლად, სასამართლოს დამოკიდებულებისა დარღვევად მიაჩნია და სათათბირო მორიგ საქმეებზე გადადის".

**გეგეჭკორს** ასეთი ფორმულა; ოქტომბრისტების საბრალო და ლატაკ შემოქმედების ნიმუშად მიაჩნია, რომელიც ზედგამოჭრით ემსგავსება ასეთ ფრაზას „ერთის მხრივ არ შეგვიძლიან არ გამოვტყდეთ, ხოლო მეორეს მხრივ არ შეგვიძლიან არ ვაღიაროთ". თავის თავისა და თავის ძალღონის პატივის-მცემელი ხალხი ასეთის ფორმულებით არ ილაპარაკებენ (ტაშის ცემა მარცხნივ და მარჯვნივ).

**თავმჯდომარე** სთხოვს, ვინც ფორმულას არ ემხრობა, ფეხზე ადგნენ.

ყველა ფრაქციები, ოქტომბრისტები. გარდა, ფეხზე დგებიან. (საერთო მოძრაობა, ხმაურობა, სიცილი, და ფორმულის მოწინააღმდეგეთა საერთო ტაშის ცემა). ფორმულა უარყოფილია.

თავმჯდომარის ადგილს გუჩკოვი იჭერს.

**პროტოპოპოვი** სამთამადნო ქარხნების მთავარ საკრებულოს მიერ გამოცემულ ცირკულიარებსა კითხულობს, რომელიც არსებულ კანონების დარღვევაა. კომისიის აზრით ეს შეკითხვა სულ უნდა მოიხსნას.

**პრედკალნი** ერთს საათს ლაპარაკობს და ასაბუთებს რომ 1906 წლიდან მთავრობამ გეზი შესცვალა და მუშათა წინააღმდეგ მიმართული კანონები გამოსცაო.

აღთქმული კანონმდებლობანი, მაგალითად მუშათა დაზღვევის შესახებ; გაიყინა. მას სამაგიეროდ მთავრობა პროფესიულ კავშირება და გაფიცვასა სდევნის. აღნიშნულ ცირკულიარების თაობაზე ორატორი ამბობს, რომ მთავრობამ საქარხნო ინსპექციის მეთვალყურეობიდან ბევრი ქარხანა უკანონოდ გაანთავისუფლა, როდესაც საქარხნო ინსპექტორებს განუმარტა — ოქმს ნუ შეუდგენთ, თუ დარწმუნდით რომ მექარხნემ კანონი ვერ გაიგო, ან მისი შესრულება მექარხნისათვის სამძიმო იყოვო. სამინისტრო ამით საქარხნო ინსპენქციას სასამართლოს ფუნქციებს ანიჭებს. ცირკულიარი, რომელიც მექარხნეს უფლებას აძლევს რომ დაგვიანებული მუშა სამუშაოზე აღარ გაუშვას, კანონის მიერ განსაზღვრულ სამუშაოზე დაგვიანებასა და სამუშაო დღის გაცდენას ერთმანეთში ურევს. საჯარიმო ფულის მექარხნის საკუთრებად აღიარებაც უკანონო განკარგულებაა. სამინისტროს განმარტება საქარხნო დუქნების გახსნის უფლებაზედაც უკანონოა. ჩვენთვის სულ ერთია სათათბირო ამ შეკითხვას მიიღებს თუ არა, ხოლო ჩვენი მოვალეობაა ამ ტრიბუნიდან მთავრობის დამოკიდებულებას რუსეთის მუშათა მიმართ სანათლე მოვფინოთ.

**მრეწველობის განყოფილების გამგე** ლიტვინოვ-ფალინსკი. შეკითხვის ფორმალურ მხარეს ეხება და აღნიშნავს, რომ მთავარ საკრებულოს არც შეუცვლია და არც განუმარტავს არსებული კანონი, მან მხოლოდ ცირკულიარები შეცვალა, რაც ამ კანონის განვითარებაა. სამინისტრო თავის მოქმედებაში საქმის ნამდვილ მხარეს უწევს ანგარიშს. მსხვილ წარმოებაზე დაწესებულ კანონებს, წვრილი და საშუალო მრეწველობა ვერ უძლებს თუ ჩვენ წვრილსა და საშუალო წარმოებას დავარჩობთ, კანონის შემსუბუქებას მაინც უნდა ვცდილობდეთ, მით უმეტეს, რომ მუშათა გაყვლეფის საკითხი უკვე ისტორიის ჩაჰბარდა და დღეს იშვიათი მოვლენადა არის. მთავრობა ახლა ამუშავებს **კანონ.პროექტს**, რომელიც წვრილსა და საშუალო მრეწველობას უფრო შეეფერება. მრეწველთა ინტერესებს კი არა ვდარაჯობთ, მაგრამ ადმინისტრაციის მოვალეობაა კანონის დარღვევის მიზეზები გამოიკვლიოს. ორატორი აცხადებს, რომ ვამუშავებთ კანონ-პროექტს მუშათა ნორმალურ დასვენებისას, დასახიჩრებულთა უზრუნველყოფისას და ფრიად მნიშვნელოვანს კანონ-პროექტს მუშათა დაზღვევისას (მარჯვნივ და ცენტრში ტაშის ცემა).

**გერასიმოვი** აღნიშნავს: მთავრობას ბრალსა სდებენ, რომ იგი მრეწველთა მიერ დაქირავებულია, რომ იგი ყოველთვის და ყველაფერში მექარხნეების ინტერესებისათვის ზრუნავს და მუშები კი დავიწყებული ჰყავსო. კომისია კი ამ შეკითხვას ფორმალურად მოექცა და წინადადებას გვაძლევს—უარჰყავითო. სათათბირო, სახელმწიფო ინტერესების გულისათვის, მოვალეა წამოყენებულ ბრალდებათ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, მით უმეტეს, რომ სავაჭრო მინისტრმაც აღიარა იგი. მრეწველებს რომ კანონის დარღვევაში უპირატესობასა და შეღავათს აძლევთ, ეს ხალხში კანონისადმი უპატივცემულებას იწვევს, და აქ შემუშავებული კანონები მუშის გულში არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს აღვიძებს, რადგანაც არწმუნებს მათ, რომ სხვა გზით თავის ინტერესების დაცვას ვერ ეღირსებიან

შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდება.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ნოემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ათინა.** მინისტრ-პრეზიდენტი ვენიზელოსის მატარებლის ქვეშ, ვოლოს მახლობლად, ბოროტ გამზრახველთ ლიანდაგზე რკინის დიდი ნაჭერი დაედოთ. მემანქანემ დროზე შეამჩნია და მატარებელი გააჩერა. მეფემ ვენიზელოსს დეპეშით მიულოცა გადარჩენა.

**ნიუ-იორკი.** ატლანტიის ნათვსადგურები, გონდურასში, პრეზიდენტად ნამყოფ ბელილის თაოსნობით რევოლუციონერთა ხელშია. ხმები დადის, რომ აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი შეამბოხეებს მიემხრო.

**მექსიკა.** სრული სიწყნარეა, კავშირის კონგრესმა პრეზიდენტს ნდობა გამოუცხადა.

**ნიუ-იორკი.** სისხლის სამართალში მისცეს 30 საზოგადოებისაგან შემდგარი შაქრის მექარხნეთა ამხანაგობა, რომლის თანხაც 230 მილიონ დოლარს უდრის. ეს ამხანაგობა გარდასახადებს თავიდან იცილებდა და ტრესტის კანონებს ჰარღვევდა.

**სტამბოლი.** ველესში ბულგართა სკოლის ინსპექტორი კუჩუკი მოჰკლეს. მონასტირში 7 ალბანელი მეთაური ჩამოაღრჩეს.

**კოლჩესტერი.** ქუჩაში მიმავალ მინისტრ ჩერჩილს დამპალი თევზები და ტალახი დაუშინეს. ლიბერალურ პარტიის კომიტეტის ბინაზე შუშები ჩალეწეს. ღმით პატრულები უვლიდნენ ქალაქს.

**ლონდონი.** ასკვიტი და გრეი ამომრჩეველთა მიმართ მოწოდებას

## ტოლსტოის ტრაგედია

ამ თორმეტიოდე წლის წინად, ინგლისის აღმოსავლეთ-სამხრეთ კუთხეში დაარსდა ტოლსტოის მიმდევართა ახალშენი. ახალშენელნი ერთ კომუნას შეადგენდნენ, საერთოდ, ამუშავებდნენ მიწას და ცდილობდნენ ყოველი თავიანთი მოთხოვნილება თვითონვე დაეკმაყოფილებინათ. ამ ახალშენს იმ ხანებში ახლოს ვადევნებდი თვალყურს. შევამჩნიე, რომ ახალშენელთა შორის ორგვარი ხალხი იყო ერთნი იყვნენ კმაყოფილნი თავიანთის ცხოვრებითა და მუშაობით, მეორენი კი თითქოს შეწუხებულნი და მოუსვენარნი. ერთნი ამბობდნენ, ჩვენ წარსულ ცხოვრებასთან შედარებით, ეხლა სინიდისი დამშვიდებული გვაქვს, რადგან ვმუშაობთ და ვცდილობთ ჩვენვე დავიკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნილებანი. უკომპრომისოდ არც დღეს ვცხოვრობთ, მაგრამ ვცდილობთ და ვმოქმედობთ ჩვენის ძალ-ღონის და გვარადღ. მეორენი ამბობდნენ, მართალია, ვმუშაობთ, მაგრამ ამ მუშაობით ვერ დავკმაყოფილდებით. ჯერ ერთი, ამ მუშაობით ყველა ჩვენს მოთხოვნილებას ვერ ვაკმაყოფილებთ. იძულებულნი ვართ ბაზართან დავიჭიროთ საქმე. სასყიდელი გვაქვს არა მარტო ტანთსაცმელი, სანოვაგეც კი, რადგან ამ ჩვენს პატარა მიწაზე კარტოფილისა და ბოსტნეულობის გარდა არა მოგვყავს-რა. და რაკი ბაზარში გავდივართ და ბაზართან გვაქვს დამოკიდებულება, მის წესს და ზნეს უნდა დავემორჩილოთ. თუ გასაყიდი გვაქვს რაიმე, უნდა ვცდილობდეთ, ისე გავყიდოთ, რომ სარგებლობა გვრჩებოდეს. თუ სასყიდელი გვაქვს, აქაც ჩვენი ინტერესი უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. ერთის სიტყვით, მიუხედავად ჩვენის მუშაობისა, ჩვენც ვართ ჩათრეულნი თანამედროვე სოციალურ წყობილების ქსელში და ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას უსამართლო და უვარგის საქმეშიო.

ახალშენი, ერთი თუ ორის წლის არსებობის შემდეგ დაიშალა დაშლის მიზეზი აშკარა იყო. „კმაყოფილთ" თანდათან ჩაეძინათ თავიანთ კმაყოფილებაში. პიროვნების განუწყვეტელ წინსვლის აზრი მათ აღარ აღფრთოვანებდათ. „უკმაყოფილონი" კი გაჰყვნენ ამ პიროვნების მოძრავ სინიდისის მოთხოვნას. მათ წინ იდგა ქრისტიანულ მოძღვრების პრინციპი, რომელიც მათ სისრულესა და თავგანწირულებისაკენ იწვევდა მათ სწყუროდათ მოქმედება თავისუფალი,—კავშირი უნდა გაეწყვეტნათ საკუთრებასთან, ფულთან და ყოველგვარ ორგანიზაციასთან. უბინაო მაწანწალობა და მუშაობით დახმარების აღმოჩენა იმათთვის, ვისაც უჭირდა ეს დახმარება, ე. ი. სოფლის მომუშავეთ. „კმაყოფილნი" საკუთრებას და არსებულ წესს დაებღაუჭნენ, „უკმაყოფილონი" კი განშორდნენ მათ უზენაეს მოვალეობის აღსასრულებლად.

ყოველივე ეს მომაგონდა ეხლა, ტოლსტოის თავის ოჯახიდან და მამა-პაპეულ ბუდიდან გაქცევის ამბავი რომ გავიგე. თუ გვინდა იმის გაგება, თუ სად გარბოდა ტოლსტოი და რა აზრი და გრძნობა აღფრთოვანებდა და ამოძრავებდა 83 წლის მოხუცს, როდესაც იგი ფარულად და მალულად, ერთის მეგობრის თანხლებით, ამ ცივ შემოდგომაში სადღაც რიაზან-ურალის რკინის გზით მიდიოდა, თუ გვინდა ამ არაჩვეულებრივ საქციელის გაგება პეტერბურგ-მოსკოვის გაზეთების რეპორტერების ნალაპარაკევი და ნავარაუდევი კი არ უნდა გვქონდეს მხედველობაში, არამედ თვით ტოლსტოის ნაწერები და მისი ცხოვრება, საიდანაც ნათლად სჩანს, თუ სად მიისწრაფოდა დიდებული მოხუცი და სად გარბოდა იგი მაშინ, როდესაც მის გულში სავსებით მომწიფდა მთელი მისი სიცოცხლის ნააზრევი განზრახვა.

ბევრსა ჰგონია, ვითომ ორი ადამიანია—ტოლსტოი მხატვარი და ტოლსტოი მორალისტი—მოაზრე. მხატვრობის ნიჭი, რასაკვირველია, განსაკუთრებული ნიჭია. მაგრამ აბა გამოჰყავით ამ მხატვრულ ნაწარმოებიდან მისი შინაარსი და ამ მხატვრობისგან არაფერი დარჩება. ტოლსტოი ერთი იმ მხატვართაგანია, რომელიც თავის შემოქმედებითის ძალით ამოძრავებდა მთელ თავის სულიერ არსებას. მართალია, უკანასკნელ წლეების განმავლობაში ტოლსტოი მხატვრულ ფორმას აღარ დაეძებდა. იგი, პირდაპირ, მოურიდებლად ჰსახავდა თავის აზრს. მხოლოდ ეს იმას კი არ ამტკიცებს, ვითომ თავის ცხოვრების პირველ ხანაში ავტორი ერთს რამეს ამტკიცებდა და იცავდა, ხოლო ცხოვრების მეორე ხანაში მეორეს. არა, ტოლსტოი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის და მოღვაწეობის განმავლობაში ერთ აზრს, ერთ რამეს ემსახურებოდა. **ეს იყო სიცოცხლის აზრის ძებნა, ეს იყო სიცოცხლის ბედშაობის აღიარება სიკვდილის წინაშე, ეს იყო ტიტანიური შებრძოლება სიკვდილის პრობლემასთან.** ამ აზრებს ტოლსტოი ხან მხატვრულ ფორმის საშუალებით ჰსახავდა, ხან კიდევ ფილოსოფიურ ტრაქტატებში ანვითარებდა. და ყრმობიდამ სიბერემდე ტოლსტოი ამ სახით ერთი ადამიანია, ერთი მოაზრე და ერთი მწერალია, რომელმაც მხოლოდ ღრმა მოხუცებულებაში ჰპოვა და შეიგნო ის, რასაც იგი ეძებდა მთელ სიცოცხლის განმავლობაში.

ტოლსტოი ეძებდა სიცოცხლის აზრს. და ამ ძებნის პირველ ნაბიჯიდანვე იგი წააწყდა სიკვდილის პრობლემას, რომლის გადაწყვეტაზედაც იყო დამყარებული აზრიან სიცოცხლის შესაძლებლობა. სიცოცხლისთვის უნდა გამოენახა ახალი ნიადაგი და მისი არსებობა და მომავალი დაემკვიდრებინა უცვლელ და შეუდრეკელ საფუძველზე. რანაირად არის ეს შესაძლებელი, როდესაც ჩვენი სიცოცხლე წარმავალი და დაუდგრომელი რამ არის? დაბადების წინ—სიბნელე, სიკვდილის შემდეგ—სიბნელე. და ჩვენი უბადრუკი სიცოცხლე გაჩხირულია ამ ორ გამოუცნობელ და სიბნელით მოცულ მარადისობის შუა. თუ სიცოცხლის ძარღვი, მისი არსებობის აზრი დროისა და სივრცის საზღვრებში იმყოფება, ფრიად ძნელი ხდება ამაოების აზრი აიცდინოს ადამიანმა ამ საკითხის გარკვევის დროს. ვინაიდგან უაზროა ის, რაც წუთიერია, რაც ნიადაგ მწუხარებასა და ტანჯვას განიცდის, რაც გაუგებრად იბადება და გაუგებრადვე ჰქრება, ხშირად უბრალო შემთხვევის წყალობით. და ამ ჩვენს სიცოცხლეს, რომელსაც ღონის ავადმყოფობა, ჰჭლუნგავს სიბერე და ანადგურებს და შლის სიკვდილი, არავითარი აზრი არ უნდა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, ამ ბედშაობის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს მთელი ჩვენი არსება და რაც გინდა სოფიზმებით დაამშვიდოთ და გაამართლოთ საზღვარ-დადებული წუთიერება ჩვენის სიცოცხლისა, ამ სოფიზმებს ჩვენი ინსტინქტი და ჩვენი სინიდისი ვერ დაენდობა. და რაკი საქმე ასეა, ტოლსტოიმ დრო და სივრცე გადალახა, ემპირიულ მომაკვდავ სიცოცხლეს ზურგი უბრუნა და თავისი მოქმედების და მისწრაფების კენტრი საიქაოდან საიქიოს გადაიტანა. აზრი ახალი არ არის. ყველა რელიგიათა მოძღვრების ელფერი სწორედ ამ ხასიათისაა. ახალი არის აქ მხოლოდ ის, თუ როგორ განიცადა დიდებულმა ადამიანმა სიცოცხლის ტრაგიზმის პრობლემა და რა ფორმებში გამოსახა მან ძველის-ძველი სიბრძნე კაცობრიობისა.

ერთ თავის ნაწერში „ცხოვრების შესახებ", რომელიც ავტორის ეთიკო— რელიგიური აზრების სინთეზად ჩაითვლება, ლევ. ტოლსტოი ამბობს: „დროსა და სივრცეს ჩემს სიცოცხლის შეგნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ჩემი სიცოცხლე სწარმოებს დროისა და სივრცეში, მაგრამ ეს მხოლოდ მისი გმნსასიერებაა. თვით სიცოცხლე კი, რომელსაც ჩემში ვგრძნობ, დროსა და სივრცეს გარედ იმყოფება. ასე რომ ამ შეხედულების ძალით—სიცოცხლის შეგნება კი არ არის მოჩვენება, არამედ ყოველივე დროსა და სივრცეში მყოფი. ამიტომ დროსა და სივრცეში ხორციელ არსებობის მოსპობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მას არ შეუძლიან ჩემ ნამდვილ სიცოცხლის მოსპობა და მის წესრიგის დარღვევა. და ამ შეხედულების ძალით სიკვდილი არ არსებობსო". (О Жизни. 96).

აქ სავსებით ისახება ტოლსტოის მეტაფიზიკა. უნდა კი ვსთქვათ, რომ ეს მეტაფიზიკა თეორიული სისტემის ნაყოფი არ არის. იგი მის სულიერ განცდის ნააზრევია. ტოლსტოიმ არავის არსად ვერ დაუმტკიცა თეორიულად. რომ არსებობს ზებუნებრივი, დროსა და სივრცეს გადაღმა მყოფი, სამეფო—ჭეშმარიტი სიცოცხლე. ტოლსტოისთვის, მისი სულიერი ვითარებისთვის, ტრაგიზმიდამ თავის დაღწევისათვის, **საჭირო**, რომ იყოს მუდმივი და მარადიული რამე, უმწიკვლო და უცვლელი სისრულე სიცოცხლისა, უმაღლესი სიკეთე, რომელსაც არც სივრცე ასუსტებს, არც დრო აბერებს და რომელსაც სიკვდილი არ ეკარება. ადამიანის მიწიერი სიცოცხლე მხოლოდ მცირედი ნაწილია დიდი სიცოცხლისა. „ადამიანი თავ

ბეჭდავენ. გრეი კანდის მგზავს ჰომ-ლუდის მომხრეა. ირლანდიის პარტის დამარცხება ჰომრულს გზას გაუხსნის. ირლანდია სრულს ეროვნულ თვითმმართველობას თხოულობს.

**ლონდონი.** გაზეთებში ნიუ-იორკიდან მიღებული დეპეშაში დაბეჭდილია: კუკი აცხადებს, რომ დამჯდარ მოსაზრების შემდეგ გადავწყვიტე, რომ არ ვიცი ჩრდილო პოლიუსს ნამდვილად მივაღწიე თუ ვერაო. ყინულეთის სამეფოში არასგვარმა გაჭირვებამ, ვგონებ ტვინი შემირყიაო.

**პარიზი.** ნავსადგურის მუშათა გაფიცვა დასრულდა.

**პარიზი.** ანარქისტების ერთი ჯგუფი ღამით, „ოტორიტეს" რედაქციაში შეიჭრა, ზოგიერთ წერილების დაბეჭვდაზე რედაქციის მდივანს გულის წყრომა განუცხადა; რამდენჯერმე რევოლვერი დასცალეს.

**ურმია.** ხოიას მიდამოებს ქურთები დაეცნენ. შეკაკ კოტაზზეკის თემის ბელადმა 100 მეომრით, კუზჩიდან სალმასამდე გაიარა, ვინც შეხვდა, ყველანი გაძარცვა, სამის სოფლის ნახირი და ჯოგები გაირეკა, სალმასის მახლობლად შაქრით დატვირთული ქარავანი გაძარცვა.

**მაკაო.** ქვეითა ჯარში და მეზღვაურთა შორის ამბოხებამ იფეთქა. მეამბოხენი გუბერნატორის სასახლეს მოადგნენ და ჯამაგირების მომატება, მონაზონების განდევნა და გაზეთის დაკეტვა მოსთხოვეს. უკანასკნელი ორი მოთხოვნილება დაუკმაყოფილეს. აფიცრები ჯარისკაცებს ვერ იმორჩილებენ. მკვიდრთა ქონება და სიცოცხლე განსაცდელშია.

რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** 1911 წ. 1 იანვარს სოფლის მასწავლებელთა საპენსიო კასაში ხაწერის გადა გადის. ამ კასის წევრნი 1910 წ. 1 ივნისის კანონით, იმ უპირატესობით სარგებლობენ, რომ სამსახურიდან გასვლის შემდეგ პენსიის ერთ ნაწილს ხაზინა მისცემთ.

**პეტერბურგი.** 17 ოქტომბრის კავშირის თავმჯდომარედ დასახელდეს: როძიანკო—42 ბარათით, ალექსეენკო—40; ფონ-ანრეპმა და კამეროკიმ რამდენიმე ხმა მიიღეს.

საბოლოო კენჭის ყრა გადაიდო.

სახელმწიფო საბჭოს მთავარ ჯგუფის თავმჯდომარედ თ-დი ტრუბეცკოი აირჩიეს.

მინისტრთა საბჭოს კანცელარიის ცნობით 9 ნოემბრის კანონის განხორციელებამ ასეთი შედეგი მოგვცა: 1 აგვისტომდე იმ სახლის პატრონთა რიცხვი ვინც ადგილის საკუთრებად შეიძინა სურვილი განაცხადა 1,913,233 უდრის. ამათში 1,372,794 სახლის პატრონმა უკვე თავის სახელზე დაიმტკიცეს ადგილები. საერთო სივრცე ამ ადგილებისა 20.081,369 დესეტინას უდრის.

**ბაქო.** ნობელის ნავთის საწარმოო ადგილში შადრევანმა ამოჰხეთქა, დღე-ღამეში 400 ათასი ფუთი ნავთი ამოდის.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი პეტერსონი წარუდგა.

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე მეფის წინაშე წარსდგა და 20 წუთის დარბაზობის დროს სათათბიროს მოქმედების ანგარიში მოახსენა.

# ახალი ამბები

ტ ფ ი ლ ი ს ი

**✦ თათბირი ნამესტნიკის სასახლის დარბაზში.** 17 ნოემბერს ნამესტნიკის სასახლის დარბაზში ნამესტნიკის საბჭოს წევრის, დჟუნკოვსკის თავმჯდომარეობით, დაიწყო სავანგებო თათბირი. უნდა შეიმუშაონ კანონ-პროექტი კავკასიის მამულების შეფასებისა და მასზე სახელმწიფო და საერობო გადასახადის შეწერის შესახებ. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მხრით ამ თათბირში მონაწილეობას იღებენ ა. ა. ქალანთარი და ი. გ. ქუთათელაძე.

**✦ შალვა თავდგირიძის საქმე.** 17 ნოემბერს კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლო მთელ დღეს მასწავლებელ ს. ს. ტროიცკის მკვლელ შალვა თავდგირის საქმის გარჩევას მოუნდა. საქმე გაირჩა ხალხის დაუსწრებლად. ამ საქმის გამო სასამართლოს მხრივ გამოწვეული იყო 8 მოწამე, ხოლო დამცველის მხრივ 7 კაცი, რომელთაც უნდა დაემოწმებინათ, რომ მცირე-წლოვანი მკვლელი სულიერად შერყეულია მემკვიდრეობითაო. საღამოს 6 საათსა და 45 წამს სასამართლომ გამოაცხადა თავისი განაჩენი, რომლითაც გორის მაზრის აზნაური შალვა თავდგირიძე 17 წლისა დამნაშავედ იცნო მასწავლებლის მოკვლაში წინასწარ განზრახვით და ყოველ უფლების ჩამორთმევა და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. ამ განაჩენის საბოლოო ფორმა გამოცხადებულ იქმნა ამავ დღეს, ორის საათის შემდეგ.

**✦ განჯიდან ტფილისში გადაფრენა აეროპლანით.** ავიატორი ვასილიევი ამ ჟამად განჯაში იმყოფება, სადაც რამდენჯერმე გაფრინდება. ავიატორს განუზრახავს, მომა ალ კვირას, 21 ნოემბერს, განჯიდან ტფილისში გამოფრინდეს ისე, რომ არსად არ შეისვენოს. ვასილიევს თავის აპარატით შეუძლიან საათში 100 ვერსი გაიაროს, ამიტომ მას იმედი აქვს, რომ ორის საათის განმავლობაში განჯიდან ტფილისში მოფრინდება. ავიატორმა ვასილიევმა ეს თავისი განზრახვა ტფილისში უკვე აცნობა კავკასიის მფრინავთა ჯგუფის თავჯდომარეს ინჟინერს გოფმანს.

**✦ სამძიმრის დეპეშა.** რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „მშობელ ერის თავმგანწირულ მოღვაწის გიორგი დეკანოზიშვილის უდროოდ გარდაცვალებით მძიმედ დაღონებული ნოვოროსიისკის ქართველი სტუდენტობა უერთდება მრავალ ტანჯულ სამშობლოს საერთო მწუხარებას".

**✦ სკოლის დახურვა.** დღემდე ბორჩალოს მაზრაში ქართველთათვის მხოლოდ ერთი სამრევლო სკოლა არსებობდა. ამ დღეებში ეს სკოლა მთავრობამ დაუხურავს, რადგან იქაურ მცხოვრებთ არ მიუღიათ სასწავლებელთა საეპარქიო საბჭოს მიერ დანიშნული ახალი მასწავლებელი.

**სიმშილით სიკვდილი.** ამ დღეებში სოფელს ნაქალაქევში (სენაკის მაზრა) საზარელი ამბავი მომხდარა. ეგრედ წოდებულ დედალიკის კლდის მაღალ მწვერვალზე ასულა ვიღაც უცნობი და იქიდან დაუყვირნია: „კეთილო ხალხო,—სიმშილით ვკვდები, მეტი ბრძოლა უაზრობა იქმნებაო". ამ სიტყვებთან ერთად ხელები თავზე მოუხვევია და კლდიდან მდინარე ლეხურში გადაშვებულა. მისი გვამი ჯერაც არ უპოვნიათ.

**✦ შუამდგომლობა.** მასწავლებლის მკვლელ შალვა თავდგირიძის დედამ შუამდგომლობა აღძრა ხელმწიფის წინაშე, რომ მისი შვილი სიკვდილით არ დასაჯონ. როგორც ამბობენ, ამგვარივე შუამდგომლობა განსვენებულ ტროიცკის ქვრივსაც აღუძრავს.

**✦ სამართალში მიცემა.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა ნამესტნიკის საბჭოს დადგენილება, რომლითაც სამართალშია მიცემული სენაკის მაზრის უფროსად ნამყოფი კაპიტანი გ. ი. მიტკევიჩი. მასმსახურის დროს ბოროტმოქმედებათა ჩადენა ბრალდება.

**✦ სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებაში.** ეს საზოგადოება იშვიათის მხნეობით მოქმედობს. როგორც სომხური გაზეთები გადმოგვცემს, საზოკადოების საბჭო წელიწადში 64 სომხურ სამრევლო სკოლას აძლევს შემწეობას. სულ ხარჯავს სკოლებზე 12.800 მანეთს. თითო სკოლას ეძლევა დახმარება 60 მანეთიდან—500 მანეთამდე.

**✦ ქალაქის საბჭოს დარბაზში.** ტფ. ქალაქის მოურავებად ნამყოფ პირთა სურათები, რომელნიც აქას წინად საბჭოს დარბაზში ჩამოჰკიდეს, 17 ნოემბერს უკვე გადატანილ იქმნენ მუნიციპალურ მუზეუმში.

**✦ განაჩენის დამტკიცება.** სენატმა დაამტკიცა ნოვოჩერკასის სასამართლო პალატის განაჩენი, რომლითაც ნოვოჩერკასკის ქალაქის მოურავი ნიკულინი ამ თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნა. ბ-ნს ნიკულინს ბრალად ის ედება, რომმან 1905 წლის დეკემბერში ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება მოიწვია და გარეშე ხალხის თანადასწრებით დამსჯელ რაზმების მოქმედება გაჰკიცხა.

**✦ მუშტაიდის ბაღი.** ამას წინად ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, მუშტაიდის ბაღი რამდენიმე წლით იჯარით მიეცათ ტფ. ქალაქის თვითმმართველობასო. ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს.

**✦ იშვიათი მგზავრი ტფილისში.** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ბოლგარელი კონსტანტინე ველიჩკოვი, რომელსაც განუზრახავს მთელი ქვეყნიერება ფეხით შემოიაროს. მგზავრობა მას დაუწყვია რვა თვის წინად. იგი ფეხით წამოსულა სოფიიდან, ყოფილა ოსმალეთსა, სერბიასა, ავსტრო-ვენგრიასა, შვეიცარიასა, საფრანგეთსა, ბელგიასა, ჰოლანდიასა, გერმანიასა, რუსეთსა და შემდეგ კავკასიაში. აქედან ველიჩკოვი ფეხითვე გაივლის სპარსეთს და ნახავს ინდოეთს, ჩინეთს, კორეას, ავსტრალიას და სხვას. მას იმედი აქვს, რომ ამ მგზავრობას 1914 წლის 15 თებერვალს დაასრულებს. გზა-გზა ველიჩკოვი ფულს შოულობს ლიტერატურული შრომით. ტფილისში იგი რამდენსამე დღეს დარჩება და ლექციებს წაიკითხავს თავის მოგზაურობიდან.

**✦ დაპატიმრებულთა განთავისუფლება.** წინა დღით დაპატიარებული გაზეთ „საქმეს" თანამშრომელნი, გუშინ გაანთავისუფლეს.

**✦ მოულოდნელი რევიზია.** 17 ნოემბერს ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალურ კანტორის კასას მოულოდნელად რევიზია გაუკეთეს საკანტროლო აგენტებმა. ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა.

**✦ შემოწირულებანი.** საქართველოს სასტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს: ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძემ ჯანდიერმა—კახეთში ნაპოვნი ბრინჯაოს წვერ-მოტეხილი მახვილი და მიწაში ნაპოვნი თიხის ქოთანი: ალექსანდრე ლევანის ძემ ჯორჯაძემ—კახეთში ნაპოვნი, ბრინჯაოს ორად გატეხილი მახვილი; სოფელ რუისის მცხოვრებელმა დავით ივანეს ძემ ჩიკოიძემ—სპილენძის ოთხი ფული: ორი ქართული, თეიმურაზ მე-2-სა და ვახტანგ მე-6-სა, ორი კიდევ მუსულმანური, სპარსული და ოსმალური.

**✦ ფილოქსერასთან ბრძოლა.** ამ დღეებში, კრება ჰქონდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს, რომელმაც ზომები შეიმუშავა კახეთში ფილოქსერასთან საბრძოლველად. ეს ზომები დაუყოვნებლივ უნდა იქმნეს მიღებული.

**✦ 16 ნოემბერს სიღნაღში ბოქაულის მოადგილეს დავით ნარიმანოვი, რომელსაც სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდებოდა.**

**✦ 14 ნოემბერს ბოდბისამ ტფილისში შეიპყრო 34 უპასპორტო.**

**✦ 17 ნოემბერს ტფილისში კარბოდის სიმჭიდით თავი მოიწამლა ალექსანდრე ბედის ასულმა ივანოვისამ. იგი მიხეილის საავადმყოფოში გადაზიდეს.**

**✦ ტფ. მაზრის უფროსად დაინიშნა ბოდბიელოვსკიკი ბობრიცსკი, რომელიც უკვე შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.**

# გიორგი დეკანოზიშვილის ხსოვნა.

გიორგი დეკანოზიშვილის უდროოდ დაკარგვა-გარდაცვალებამ, ისიც ევროპის შორეულ ქალაქში, თავზარი დასცა არა მარტო მის მახლობელ ნაცნობებს, [illegible] და მეგობრებს, არამედ ყველა იმ პირებს, რომელთაც იცოდნენ ძვირფას გიორგის მოღვაწეობა. გიორგი ეკუთვნოდა იმ ინტელლიგენტების ჯგუფს, რომელთაც თავის თავზედ სამშობლო უფრო უყვარსთ, იგი სწამთ, მას ეტრფიან, მასზედ ჰფიქრობენ და ზრუნავენ, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთები ჩვენს დროში ცოტანი გვყავნან.

გიორგი ჭიათურელებმა გავიცანით 1893 წლის ზაფხულში, როდესაც იგი, როგორც სამთო ინჟინერი ნიკოლოზ ღოღობერიძის შავი-ქვის სამადნო მამულების მართვასა და წარმოებას შეუდგა. მან მალე მიიპყრო მოსვლისათანავე საზოგადოების ყურადღება და მალე დაიმსახურა ჩვენს დაბაში დიდი პატივისცემა და სიყვარული. გიორგი ნამეტანი თავმდაბალი, პატიოსანი და შრომის მოყვარე კაცი იყო; მუდამ მზად იყო შემწეობა აღმოეჩინა ყველასათვის, ვინც კი მისგან რაიმე საქმეში დახმარებას ისაჭიროებდა; ყოველგვარ ღირსებასთან ერთად მისი მუსაიფი იყო მკაფიო, ტკბილი და ნამდვილს ლიტერატურულ ენაზე; გიორგი თუმცა 3—4 წელიწადზე მეტი არ დარჩენილა ჭიათურაში, მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც დიდი სახელი და სიმპატია მოიხვეჭა ჭიათურის საზოგადოებაში, რადგანაც მან არა მცირედი შრომა დასდო ჩვენის დაბის კეთილდღეობას. გიორგის მოსვლამდის ჭიათურაში მხვა ინჟინერი არ ყოფილა, არც იყო მანამდის წესიერი შავი-ქვის წარმოება. გიორგი პირველი ინჟინერი იყო ჭიათურაში, რომელმაც წესიერად და ტეხნიკურად გამოაწყო არა მარტო ბ-ნ ნ. ღოღობერიძის საჰრეწველო, ამასთან თავისუფალ დროს დანარჩენ მწარმოებლებსაც დიდ შემწეობასა და დახმარებას უწევდა შავი ქვის კანონიერად დამუშავებაში რჩევა-დარიგებით, თუ გეგმების აღებითა და სხვა.

1893 წლის ზაფხულს ჭიათურაში ხოლერამ იჩინა თავი და მთლად მუსრი გაავლო ხალხს; განსაკუთრებით იხოცებოდა მომუშავე ხალხი. იმ დროს, მიშისა გამო, ინტელლიგენტების უმეტესი ნაწილი მოშორდა ჭიათურას, მხოლოდ გიორგი არ მოშორებია. იმავე ზაფხულზედ შედგა ჭიათურაში ხოლერის

ვის თვალებით, ამბობს ტოლსტოი, დააშტერდება ხოლმე ამ პატარა, სულ პაწაწა ნაწილს თავის სიცოცხლისას, არ უნდა დაინახოს იგი სიგრძე-სიგანით და ცახცახებს, თვალებიდამ არ მოაშორდეს ეს პაწაწა საყვარელი ნაწილი სიცოცხლისაო. სწორეთ იმ გიჟის ამბავი მაგონდება, რომელსაც თავისი თავი შუშისა ეგონა და როდესაც ეგ მუშის ადამიანი მხლებლებს ხელიდან გაუვარდათ, ძინო! დაიძახა გიჟმა და იქვე გათავდაო. (იქვე 106). ტოლსტოი დარწმუნებულია, რომ იგი ე. ი. მისი ჭეშმარიტი სიცოცხლე შუშისა არ არის და მას არავითარი საფრთხე არ მოელის, დარწმუნებულია იმიტომ კი არა, რომ მას თეთრიულად შეუძლია დამტკიცება თავისი სიცოცხლის უკვდავება, არამედ იმიტომ, რომ ეს უკვდავება, მის სხნისთვის, სიცოცხლის ბედშავობის მოსპობისათვის და სიკვდილის დათრგუნვისათვის საჭიროა მისთვის.

მიუხედავად ყველა ამისა, ტოლსტოის რელიგია, შედარებით ყველა არსებულ რელიგიებთან რაციონალური ხასიათის რელიგიაა, და მიუხედავად საიმქვეყნო მისწრაფებისა და იდეალისა იგი არსებით საამქვეყნო რელიგიაა. საამქვეყნოა იგი იმიტომ, რომ ეს მიწიერი სიცოცხლე საფეხური და ეტაპი უფრო მაღალ სიცოცხლისადმი მიღწევისათვის. ამიტომ არ შეიძლება უარყოფა ამ მიწიერ სიცოცხლისა. მართალია, იგი ტანჯვით არის ავსილი. ხოლო ტანჯვა საჭიროა ადამიანისათვის, რადგან ტანჯვა მხოლოდ აქ მიწაზეა, მიწა კი გვირაბია საიმქვეყნოში გასასვლელი. ვისაც სიცოცხლე უნდა, ტანჯვა უნდა აიტანოს, გვირაბი გაიარის და თავს დააღწევს ჭეშმარიტ სიცოცხლის სამეფოში. ამგვარად, ტოლსტოიზმი, ბუდიზმსავით და თანამედროვე პესიმისტებსავით ცხოვრებიდამ გაქცევას არ ჰქადაგებს. მისი რელიგია მომქმედია. თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მოქმედებისათვის იგი იმას წააქეზებს, ვისაც სჯერა, რომ ეს ჩვენი წუთი-სოფელი მხოლოდ ერთი მომენტი და გარეგანი გამოსახულებაა დიად და მარადიულის სიცოცხლისა. და ვისაც ეს არა სჯერა, იგი აუჯანყდება ამ სიცოცხლეს და მასში გამეფებულ ტანჯვას და ვერას გზით ვერ შეიწყნარებს ტანჯვის აუცილებლობის საჭიროებას. რაციონალურია ეს რელიგია იმიტომ, რომ მან თავი დააღწია დოგმატებს ოფიციალურ ქრისტიანიზმისა და თავის სხნისათვის მას არავითარი შუამავალი არ დაუწესებია, წინააღმდეგ ორთოდოქსალურ ქრისტიანიზმისა, რომელსაც ამ შუამავლად ეკლესია დაუსახავს. რაციონალურია იგი აგრეთვე იმიტომ, რომ მას უკვდავება მატერიალურ სიცოცხლის ტერმინებში არა აქვს წარმოდგენილი. აქ არ არის არც მკვდრეთით აღდგომა მატერიალური პიროვნებისა, არც მატერიალურად დასახვა „ედემისა", სადაც, მაჰმადიანთა რწმენის მსგავსად, უკვნავნი შეექცევიან ამა ქვეყნის სიამეთა გრძნობებით.

რაკი ეს ასეა, ტოლსტოის მოძღვრების ძალა თვით ადამიანია და მისი იარაღი გონიერებაა. ამ ადამიანმა თვითონ უნდა მოჰქედოს თავისი ბედნიერება და მისმა გონებამ უნდა დაასაბუთოს ამ ბედნიერების მოპოვების შესაძლებლობა. და ამიტომ არის, რომ ტოლსტოის აზრი იმ თავითვე სიკვდილის პრობლემას დასტრიალებს და აქ ეძებს, ამ პრობლემის ჯეროვანად გამარტებაში ეძებს იგი ხსნას მიწიერ სიცოცხლის ბედ-შაობისაგან. იგი ამბობს: „წარმოდგენილი მაქვს, რომ ვკვდები და თავდება ჩემი სიცოცხლე. და ეს აზრი მაწუხებს და მაშინებს, რადგან ჩემი თავი მეცოდება. ხოლო რა მოკვდება? რა მეცოდება? რა ვარ მე სულ უბრალო შეხედულებით? უწინარეს ყოვლისა, მე ხორცი ვარ. კეთილი. მაშ ამისი მეშინიან და ეს მეცოდება? თურმე არა: ხორცი და ნივთიერება არას დროს არ დაიკარგება, არც ერთი მისხალი არ დაიკარგება. მაშ ამ მხრივ უზრუნველი უნდა ვიყო, აქ საფრთხე არ მომელის. ყოველივე გადარჩება. არა, ამბობენ, ეს კი არ მეცოდება. მეცოდება ჩემი თავი, ლევ ნიკოლოზის ძე და ივანე სიმეონის ძე... მაგრამ ყოველი ადამიანი ხომ ის აღარ არის დღეს რაც ამ 20 წლის წინად იყო. და ცისმარე დღე ადამიანი იცვლება. არა, განაგრძობენ, ეს არა, ეს კი არ მენანება. მენანება ჩემი შეგნება, ჩემი მე მენანება. კეთილი. მაგრამ ეს შენი შემეცნება ყოველთვის ერთი და იგივე ხომ არ იყო, არამედ სხვა და სხვა. ერთი წლის წინად სხვა იყო, ათი წლის წინად კი დევ უფრო სხვა და ამის იქით კიდევ უფრო და უფრო სხვა. რაც შენი თავი გახსოვს, იცვლებოდი. მაშ რა მოგეწონა ისეთი შენს ეხლანდელ შემეცნებაში, რომ ისე გენანება მისი დაკარგვა? კიდევ მესმის, იგი ერთი და იგივე, უცვლელი რომ ყოფილიყო, მაგრამ იგი მუდამ ჟამს ცვალებადობაში იმყოფებოდა. იმის დასაწყის შენ არა ხედავ და ვერ მოგიძებნია იგი და აბა რანაირად გინდა, რომ მას ბოლო არა ჰქონდეს, რომ ის შემეცნება, რომელიც ეხლა შენშია, სამუდამოდ დარჩეს იქ. რაც შენი თავი გახსოვს, სულ მოძრაობაში ხარ. თითონაც არ იცი, როგორ შემოდგი ფეხი ამ სიცოცხლეში, იცი მხოლოდ, რომ აქ მოხვედი იმ განსაკუთრებულის „მე"-თი, რომელიც შენა ხარ. მერე მიდიოდი, მიდიოდი, შუაგზამდე მოხვედი და ერთბაშად თითქოს გაგეხარდა, თითქოს შეგეშინდა, შედექი, გაჯიუტდი და ფეხს აღარ ინაცვლი, წინ აღარ მიდიხარ მხოლოდ იმიტომ, რომ არა ხედავ, რა იმალება იქ. მაგრამ ხომ არც ის ადგილი გინახავს, საიდამაც მოხვედი, მოსვლით კი მოხვედი. შემოსავალ ჭიშკარში კი შემოხველ და გასავალ კარებიდან გასვლა აღარ გინდა. მთელი შენი სიცოცხლე კი ხორციელ არსებობის პირობებში მოძრაობა იყო: მოდიოდი, გეშურებოდა და ეხლა ერთბაშად იმისი შეგეშინდა, რასაც მუდამ სჩადიოდი. გეშინიან შენი მდგომარეობის დიდ ცვლილებისა ხორციელ სიკვდილის გამო. მაგრამ ამისთანა დიდი ცვლილება ხომ შენი დაბადების დროსაც განიცადე. და ამისაგან შენთვის ცუდი არა გამოვიდა რა, პირიქით, ისეთი კარგი რამ გამოვიდა, რომ მას ვერც კი შორდები... ხოლო თუ იმისი დაკარგვა გეშინიან, რაც ხორციელი არ არის, ე. ი. განსაკუთრებული გონიერი დამოკიდებულება ქვეყნისადმი, ის, რითაც შემოხვედი ამ სიცოცხლეში, შენ კარგად იცი, რომ იგი შენს დაბადებასთან არ შობილა. იგი არსებობს შობილ ხორციელობის დამოუკიდებლად, ამიტომ ამ ხორცის სიკვდილი მას ხელს ვერ შეახებსო. (იქვე, 115).

აქ არის ძარღვი ტოლსტოის ფილოსოფიისა. „განსაკუთრებული გონიერი დამოკიდებულება ქვეყნისადმი" უკვდავი და მარადიულია, რადგან იგი იყო ფიზიკურ სიცოცხლის გაჩენამდე, იქნება მის სიკვდილის შემდეგო. აქვე არის, თუ გინდათ, სისუსტე ამ ფილოსოფიისა, რადგან ტოლსტოი თითქოს არა ჰხედავს იმ აზრის გამოთქმას, რომ ეს „განსაკუთრებული გონიერი დამოკიდებულება ქვეყნისადმი" თავის თავად არაფერს ნიშნავს, თუ არ არის ნათლად დასახული სუბიექტი და პიროვნება, რომელსაც აქვს ეს განსაკუთრებულ დამოკიდებულება ქვეყნისადმი. უკვდავ პიროვნებაზე ლაპარაკი ტოლსტოის არ ეხერხება, ერთის მხრივ, ორთოდოქსალურ ქრისტიანობის შიშით, რომელსაც ეს პიროვნება მატერიალურის თვისებებით აქვს წარმოდგენილი, მეორეს მხრივ, რაციონალურ მეტაფიზიკის უარ-ყოფის გამო, რომლის საბუთები მის ინტუციასა და გრძნობაში გადადუღებულ აზრებს არ ეხამუშებოდა.

ასე თუ ისე, ეხლა ჩვენთვის ნათელია, თუ რა იყო ტოლსტოის სიცოცხლის აზრი, რას ესწრაფვოდა იგი თავის სიცოცხლის განმავლობაში, როგორ უყურებდა თავის მიწიერ ყოფნას, რა ფასი უნდა ჰქონოდა მის თვალში ოჯახს, საკუთრებას, ეკლესიას, სახელმწიფოს და ადამიანთა ყოველგვარ და ყოველ სახის ორგანიზაციას. ნათელია ჩვენთვის, რომ ლევ ტოლსტოი თავის თავს ისე უყურებდა, როგორც მგზავრს და ის გარემოება, რომ მან, 83 წლის მოხუცმა, რომელსაც არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა არც სახელმწიფოსთან, არც ეკლესიასთან, არც საკუთრებასთან, ხელის უკანასკნელის გაქნევით, ოჯახსაც დასშორდა, ეს გარემოება საკვირველის თანთათანობით და ჰარმონიით გამომდინარეობს მის წარსულ ცხოვრებიდან და აზროვნებიდან. და მისი გაქცევა განსახიერებული სიმბოლოა იმ დაუსაბამო და უსრულო სულიერ მოძრაობისა, რომელიც საფეხურიდამ საფეხურამდე ნელნელა ანთავისუფლებდა მოხუცს საამქვეყნო ტყვეობისაგან, საამქვეყნო სიამეთ—მწუხარებისაგან. იდუმალი ხმა, რომელიც სიცოცხლის განმავლობაში ეძახადა, ნინაღე ეუბნებოდა: მოვედით ჩემდა მაშვრალნი და ტვირთ—მძიმენი, და მე განგისვენო თქვენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა, და ისწავეთ ჩემგან: რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა; და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს. (მათესი 11, 28—30).

არჩილ ჯორჯაძე.

წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელშიაც გიორგიმ პირველი ადგილი დაიკავა და თავგანწირვით ებრძოდა შეუბრალებელს, საშიშარს ეპიდემიას. ბევრიც გადაარჩინა ხოლერის კლანჭებს ამ ერთგულმა საზოგადო მუშაკმა.

გიორგის მოსვლამდის ჭიათურაში სკოლაც არ იყო. **1894** წლის შემოდგომაზედ გიორგიმ შეადგინა ინტელიგენტთა ჯგუფი, აიღო ნება-რთვა სასულიერო მთავრობისაგან, დაიქირავა სკოლისათვის შესაფერისი შენობა, შეიძინა სასკოლო ავეჯი, მოიწვია მასწავლებელი და თავის ინიციატორობითა და მზრუნველობით გახსნა ჭიათურაში მშვენიერი ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა სამის წლის კურსით, სადაც ბუზებივით მიესივნენ სწავლის მწყურვალე პატარა ბავშვები. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მხიარულებითა და აღტაცებით მიეგებნენ პირველად ჭიათურელები და მათი შვილები ახალ სკოლის გახსნას; ამ სკოლამ დღევანდლამდის მოაღწია და დღეს კი ორ-კლასიანად გადაკეთდა, რომლის გამგეობასა და სალმრთო სჯულის მასწავლებლობას მე თქვენ უმორჩილესი მღვდელი ვასრულებ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ **1894** წლის **7** იანვარს მღვიმის დედათა მონასტრის წინამძღვარმა აწ გარდაცვალებულმა იღუმენიამ ელენემ ასეთივე სკოლა გახსნა, სადაც მე მიმიწვიეს მასწავლებლად; მიუხედავად იმისა, რომ სკოლის გახსნასა და კურთხევაზედ დიდი თოვლი იყო და ცუდი ამინდიც შეგვხვდა, გიორგი წავიდა მონასტერში, დიდის ყურადღებით მოეპყრო მეორე სკოლის გახსნას, და მადლობაც გამოუცხადა იღუმენია ელენეს ასეთ კულტურულ საქმის დაგვირგვინებისათვის.

გიორგის მოსვლამდის არც თეატრი იყო ჭიათურაში. **1895** წელს გიორგიმ ითავა თეატრის გახსნა, დაიქირავა სახლი, შეჰკრიბა სცენის მოყვარეები, მოაწყო სცენა და გამართა წარმოდგენები, სადაც დამსწრე საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ქონდა. პირველ წარმოდგენის დროს ახლად გახსნილ თეატრში გიორგიმ სიტყვა წარმოსთქვა, აუხსნა ხალხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს თეატრს ადამიანის ცხოვრებაში.

**1896** წელს გიორგისავე თაოსნობით გაიხსნა ჭიათურაში სახალხო ბიბლიოთეკა—სამკითხველო, სადაც წერა-კითხვის მცოდნე პირები სარგებლობდნენ წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით. **1896** წელს გიორგიმ სამუდამოდ დასტოვა ჭიათურა და ბაქოში გადავიდა. ჭიათურიდგან წასვლის დროს ჭიათურის საზოგადოებამ ნიშნად პატივისცემისა და სიყვარულისა საზოგადო სადილი გაუმართა თავის საყვარელ მოღვაწეს და მრავალი საგრძნობიერო გამოსათხოვარი სიტყვაც უთხრეს. მას შემდეგ **15** წელიწადი გავიდა და გიორგი ჭიათურაში აღარც კი გვინახავს, მაგრამ მისი საზოგადო მოღვაწეობა, ნათესი სიკეთე და სათნო ადამიანობა მუდამ თვალწინ გვედგა ჭიათურლებს და კიდევ ბევრი დრო გაივლის, ვიდრე მისი ხსოვნა და მოგონება დაგვავიწყდება.

ამ უკანასკნელ დროს, როდესაც გავიგეთ სამწუხარო ამბავი, რომ გიორგი დეკანოზიშვილი გარდაიცვალაო, დიდი მწუხარება და ნაღველი განვიცადეთ და თანაც პანაშვიდი გადავიხადეთ.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო ქართველო და სამშობლოს მოჭირნახულევ, დაუვიწყარო გიორგი! **მღვ. ბესარიონ გაშაძე.**

## ტოლსტოის დღეები რუსეთში

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ხარკოვი.** კვირა დღე, შვიდი ნოემბერი—ეს ის დღეა ქვეყნის ისტორიასა, საზოგადოდ, და განსაკუთრებით რუსეთის ისტორიაში როდესაც მთელ კულტურულ კაცობრიობას გამოეთხოვა და სამუდამოდ განისვენა „Ясная Поляно"-ს დიდმა მოხუცმა... მოკვდა ტოლსტოი... მოკვდა ის, ვისი ხმაც ამ ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში ასე გრგვინავდა, ასე იპყრობდა კაცობრიობას... დიადი იყო ეს ხმა!.. იგი—ვით უზარმაზარი ზარის რეკვა—აღვიძებდა მძინართ, აფხიზლებდა მათ, ვინც თავდავიწყებით მისცემოდა თავიანთ წვრილ, სადღეისო ინტერესებს... იგი, ვით ნათლის სვეტი, იწვევდა თვისკენ სულით მწყურვალთ, ანუგეშებდა მათ, უნერგავდა წმინდა სიყვარულს მოყვასისადმი და მოსულნიც, სრულიად დამშვიდებულნი, გამხნევებულნი და გონს მოსულნი უბრუნდებოდნენ ცხოვრებას იმ ღმერთის საძებრად, რომელნიც თურმე მათშივე იყო და თვითონ კი ვერა ხედავდნენ... და რაც უფრო დიდი იყო საზოგადო სასოწარკვეთილება, რაც უფრო საგრძნობელი იყო გარემოსხმული სიბნელე—მით უფრო მაღალი იყო მისი ხმა, მით უფრო აშკარად სჩანდა მისი ბრწყინავი სახე, მისი ნათელი „მე"... იგი შეუპოვარი და გამბედავი იყო თვით საღრჩობელას ქვეშე; მისმა კალამმა არ იცოდა შიში, არ იცოდა ქედის მოხრა არავითარ ძალის წინაშე... იგი იყო მეფე, მხოლოდ უგვირგვინო და ამ გვირგვინისა ხომ წინააღმდეგი და აშკარა მტერიც იყო...

ქ. ხარკოვი და მისი სტუდენტობაც შეიმუშნა, ატირდა და აქვითინდა. ყველას; დიდისა და პატარისა, ინტელიგენტისა თუ მუშისა, ვაჭრისა თუ სოფლებიდან მოსულისა, ქალისა თუ კაცისა, სტუდენტისა თუ მოხელისა, „ბოსიაკისა" თუ მეეტლისა—სახე მოიღუშა, დაკარგა სადღეისო ინტერესებზე ზრუნვა და ყველა მხოლოდ „ბაბუა მოციქულზედ" ალაპარაკდა...

მიუხედავად იმისა, რომ გარედ ცუდი და ნესტიანი ამინდი იდგა—ქუჩები მაინც ხალხით აივსო. ხშირად ნახავდით ცალ-ცალკე ჯგუფებს, რომელნიც ყურს უგდებდნენ ტელეგრაფით ახლად მოტანილ ამბების კითხვას.

უნივერსიტეტიც ორშაბათს დილას სტუდენტებით და კურსისტ ქალებით აივსო. გაისმა „საუკუნო იყოს ხსენება მისი"-ს გუგუნი და სამ ათასამდე თავშეყრილმა ხალხმა უნივერსიტეტის მთავრობისაგან კრების ნებართვა მოითხოვა. კრება ნებადართულ იქმნა და იგი დაინიშნა ორშაბათ სალამოსვე. ჯერ კიდევ ხუთი საათი არ იყო, რომ უშველებელი დარბაზი ხალხით გაიტენა. აქ იყვნენ გარდა უნივერსიტეტელებისა ტეხნოლოგებიც და ბეითლებიც. ყველას დიდი აღელვება და მოუთმენლობა ეტყობოდა... მალე ტრიბუნაზედ გამოჩნდნენ კრების ხელმძღვანელები და უნივერსიტეტის მთავრობისაგან ძალ-დატანებულებმა განაცხადეს, თუ კრებაზე, გარდა უნივერსანტებისა, დაესწრო სხვა ვინმე—კრება დაიხურება, რადგანაც საქმეში პოლიცია ჩაერევაო.. ამ განცხადებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია დამსწრეთა შორის, მაგრამ ძალამ მაინც თავისი გაიტანა და გარეშე პირებიც იძულებული შეიქმნენ თავ-ყრილობის დარბაზს განშორებოდნენ. მაგრამ სულ როდი მოსცილებიან ამ შენობას: ისინი და მათ რიცხვში ბევრი უნივერსანტებიც გაჩერდნენ დარბაზის დერეფანში. კრება დაიწყო. ყველა ქუდ-მოხდილი იდგა დიდის ადამიანის შავში გახვეული სურათის წინაშე. სამიოდე ორატორის სიტყვების შემდეგ კრებამ ერთ-ხმად გადასწყვიტა: შეჰკრიბონ თავიანთ შორის ფულები ტოლსტოის სახელის ფონდის დასაარსებლად; და დასაფლავების დღეს არ დაესწრნენ ლექციებს; მთელის კვირის განმავლობაში მკლავზედ ატარონ სამგლოვიარო ნიშანი; გაგზავნონ Ясная-Поляна-ში დელეგატები (ორი სტუდენტი) დასაფლავებაზე დასასწრებლად და მოკლე ხანში კი გამართონ ტოლსტოის სახსოვარი საჯარო კრება. ამ გადაწყვეტილების შემდეგ კრებამ კვლავ იგალობა „საუკუნო იყოს ხსენება მისი", რომელსაც ბანი მისცა დერეფანში მდგომმა ხალხმა. ამ საგალობლის ხმა მისწვდა ახლო მყოფ პოლიციელებსა და და ისინიც სწრაფ ჩაერივნენ სტუდენტთა ჯგუფში და მოითხოვეს მათი გაჩუმება და გაფანტვა... ჯგუფი დაჩუმდა და ნელ-ნელა, პატარა ჯგუფებად იწყო კრების ადგილის მოცილება. მაგრამ ამ პატარა ჯგუფებმა ისევ შეიყარეს თავი აქაურ ერთ მთავარ ქუჩაზედ და სამგლოვიარო საგალობლის გუგუნით განვლეს ოთხას საჟენამდე. დემონსტრანტთა ჯგუფი შეჩერდა დრამატიულ თეატრთან... კვლავ გაისმოდა მწუხარე გუგუნი... მაგრამ აქაც მალე გაჩნდნენ პოლიციელნი და მათრახების წყალობით გაჰფანტეს მგალობელნი და მთელი ჯგუფი. რამოდენიმე სტუდენტი გვარიანადაც გაილახა.

სამშაბათ დღესაც არ განვლო მშვიდობიანად. ამ დღეს აზრად ჰქონდათ ყველა აქაურ უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტობას თავი შეეყარათ უნივერსიტეტში და აქედან დემონსტრაციით ჩამოევლოთ ქალაქის უმთავრესი ქუჩები. მაგრამ ეს გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგანაც თორმეტ საათის შემდეგ უნივერსიტეტში მოსავალი გზები ყველგან პოლიციელებისაგან იყო შეკრული. პატარა თათბირის შემდეგ უნივერსიტეტიდან გამოვიდნენ პატარ-პატარა ჯგუფებად სტუდენტები და თავი შეიყარეს ახლო მდებარე პატარა ბაღში. აქ კვლავ იგალობეს სამგლოვიარო ჰიმნი, მაგრამ აქაც ისევ მსწრაფლ გაჩნდნენ ცხენოსანი პოლიციელები და ისევ მათრახებით და ცხენების ტარებით გარეკეს დემონსტრატები. ამ ცემა-ტყეპამ უარესად ააშფოთა ისედაც აღშფოთებული სტუდენტობა.

ოთხშაბათ დღეს კვლავ აივსო უნივერსიტეტის აივნები და ხმა მაღლა მოითხოვეს კრების ნებართვა, რომ ამ კრებაზედ გამოეკვლიათ, თუ როგორ შეხვედროდნენ მთავრობის ასეთ სასტიკ და მკაცრ მოქმედებას სტუდენტებისადმი. კრება ხუთშაბათისათვის იქმნა ნებადართული. კრებამ უწინარეს ყოვლისა მოისმინა Ясная Поляна-დან დაბრუნებულ ერთ დელეგატთაგანის ანგარიში. დელეგატმა სთქვა: ჩვენ, როგორც სხვა ქალაქების (გარდა მოსკოვისა) სტუდენტებისაგანაც გაგზავნილმა დელეგატებმა, დავიგვიანეთ, დასაფლავებას ვერ მივუსწარით. მხოლოდ გუშინ **10/XI** თაყვანი ვეცით დიდებულ მწერლის სამარეს და გვირგვინიც შესაფერ წარწერებით მივიტანეთ.

8 ამავე თვესვე „ქართველთა ახალმა წრემ" (იგივე ქუთაისის სათვისტომოვე) სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნა ალექსანდრა ლევის ასულს. ათ ამ თვეს-კი ამავე წრემ გამართა კრება, რომელზედაც წაკითხულ იქმნა ორი მოხსენება ტოლსტოის შემოქმედების შესახებ. ერთი მოხსენება მოკლედ შეეხებოდა დიდის მწერლის მხატვრულ ნიჭისა, პოეზიის დახასიათებას; მეორე კი—მწერლის ფილოსოფიურ და რელიგიურ შეხედულებათ. მოხსენებანი მოკლე, მაგრამ ძრიელ საინტერესონი იყვნენ. ამავე წრემ თავს იდო ტოლსტოის ერთ ნაწარმოებთაგანის ქართულად გადათარგმნა, სახელდობრ „ანნა კარენინა"—სი. აირჩა სარედაქციო კომისია და დავალა ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მუშაობას, კრებას დაესწრო ძველის სათვისტომოს რამოდენიმე წევრიც.

**ალ. ლოლაძე.**

## მოწერილი ამბავი

**ს. სურები (გურია)** 7 ნოემბერს, დილით რიცა ამაღლების საზოგადოების მთავრობის მამასახლისი. ს. ჰეჰადიძე თავის სახლიდან (სურებშია) ამაღლებაში მიდიოდა, გზაში უცნობები დახვედრიან და მოუკლავთ, თუმცა მამასახლისს შეიარაღებული დარაჯები თან ახლდნენ. მთელიან გუბერნატორს, ხალხი ძალიან შეშინებულია.

**ს. ბასილეთში.** მთავრობის მამასახლისი მოხსნეს, როგორც იქნა. ხალხი ძალიან გაჯავრებული იყო. სამი წელიწადია, რაც მთავრობამ ბასილეთში სამასახლისო ჩააყენა 4 დარაჯით. საზოგადოებას ეს 5400 მ. დაუჯდა.

**ახკანა.** გადაუწყვეტიათ, რომ აქ მთავრობის მამასახლისი დანიშნონ. ამბობენ ხამამასახლისოდ სუფე გოგიბერიძეა წარდგენილიო, მაგრამ ეს არავის სჯერა...

**ს. ინხაბუთი.** 9 ნოემბერს ღამით გიდაც უცნობები სახლში შეუცვივდნენ გლახუნა ბასილიას რომელსაც სხვისი ფულები ჰქონდა მიბარებული, და ეს ფულები მოსთხოვეს. მაგრამ მეზობლებმა ადრე გაიგეს და ხელი შეუშალეს ბოროტ-გამზრახველთ, რომელთაც ვერაფერი წაიღეს და მიიმალნენ.

— 11 ნოემბერს ღამე ნანეიშვილის ეზოში გიდაცებს მოუკლავთ ესტატე მადღლარია გარეშე.

**დ. ჭიათურა.** მეტად ცუდ სურათს წარმოადგენს კვირა დღეს ჭიათურის ქუჩები; გაიხედავთ თუ არა რომელსამე ადგილზე მაშინვე თვალ წინ წარმოგიდგებათ მთელი ხროვა მუშა ხალხისა, რომელიც გამყარებული ეძებს მიმალულ მოიჯარადრეს, რომელსაც აუღია მუშის ხვედრი ფული და გამგზავრებულა სადმე საქეიფოდ!

გაივლით კიდევ ტოტას თუ არა, დაინახავთ, რომ მთელი ბრბო მუშა ხალხისა შემოსევია მრეწველს და ეხვეწებიან—„ფული მოგვეცით", მაგრამ ეს უკანასკნელი უმტკიცებს ფული არ ამიღიაო. მუშებმა უკვე გაიგეს მათ ხრიკები და ხელიდგან არსად უშვებენ. ზოგი ერთი მრეწველთაგანი 3 თვემდის არ აძლევს ფულს მუშებს. ნუ თუ მათ ჰგონიათ, რომ მუშას თავის დროზედ ფული არ უნდა?

არ იქნა და არა! ვერ მოვესწარით ადგილობრივ სამკითხველოში წესიერების დამყარებას; ბავშვის ტირილი, ქალების კივილ-ყვირილი და სხვა ამისთანები გულს ეწყინებენ მკითხველებს. მასთანავე უნდა გსთქვათ, რომ გაზეთებს მალე ინახავენ ხოლმე. გსთქვათ, კვირას ვერ ნახვდით სამკითხველოში, ხოლო ორშაბათს კი კვირის გაზეთები უკვე დაკეცილი დაგიხვდებათ განჯინაში, ასე რომ იმ დღესვე თუ არ მიხვედი, წინა დღის გაზეთები წაუკითხავი დაგრჩება!

ამ დღეებში ჭიათურაში საშინელი ყინვები დაიჭირა; ასე გამინჯეთ მდინარე ჭიათურაც კი გაიყინა, რომელიც თავის დღეში არ გაყინულა რაც უნდა თოვლი ყოფილიყო. ყველასთან ქარიც დიდი ჰქრის ძალიან მკაცრი სხეული უნდა იქმნეს, რომ ქარს გაუძლოს. როგორც ეტყობა დიდი ყინვები იქნება ამ ზამთარში. **მლაშელი.**

**ქუთაისი.** 15 ნოემბერს ქალაქის საბჭომ, მოისმინა რა ქალაქის მოურავის დ. ა. ლორთქიფანიძისაგან ცნობა დიდ ლევ ტოლსტოის გარდაცვალების ამბავი, ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და ერთხმად დაადგინა: ა) საბჭოს მორიგი სხდომა გადადებულ იქნას სხვა დროისათვის; ბ) დაევალოს ქალაქის გამგეობას წარმოუდგინოს საბჭოს მოხსენება იმის შესახებ, თუ შემდეგში როგორ უკვდავ ჰყოს ქუთაისში ლ. ტოლსტოის ხსოვნა. ზოგიერთებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ქუთაისის ერთს ქუჩას და ერთ-ერთ პირველ დაწყებით სასწავლებელს ტოლსტოის სახელი დაერქვას. ვსარგებლობ შემთხვევით—აღვნიშნო, რომ ტოლსტოის ხსოვნის პატივსაცემად გამართულ სხდომას არც ერთი რუსი არ დასწრებია! **ი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** შაბათს, 18 ნოემბერს, დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნა მესამეჯერ ცნობილი პიესა იაპონელების ცხოვრებიდან „ტაიფუნი". თამაშის მხრით პიესამ ახლაც ჩინებულად ჩაიარა. წარმოდგენა იაფფასიანი იყო და „ხალხი" ბლომად მიიზიდა.

— 14 ნოემბერს, ვ. გუნიას საგასტროლოდ წარმოდგენილი იქმნა ცნობილი პიესა „ოტელლო". ქუთათურების საყვარელ მსახიობის „ვალიკო"-ს გასტროლმა და უკვდავის შექსპირის მუდამ ახალმა „ოტელლო"-მ თეატრში აუარებელი საზოგადოება მოუყარა თავი, რომელიც აღტაცებულ ტაშის ცემით მიეგება პატივცემულ სტუმარს. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. „საზოგადოდ"-მეთქი, ვამბობ; ცალ-ცალკე კი რომ განვიხილოთ მსახიობთა თამაში, უნდა აღვიაროთ, რომ სამ-ოთხ მსახიობს გარდა ყველანი სუსტობდნენ მეტად თუ ნაკლებად. ზოგი იმდენად სუსტი იყო, რომ ყოველი მისგან წარმოთქმული წინადადება ცივს წყალს ასხამდა თავზე მაყურებელს. უნდა აღვნიშნოთ, რომ როლები საზოგადოდ რიგიანად არ იყო განაწილებული მსახიობთა შორის. ზოგიერთისათვის (მაგ. ვ. სარაჯი—გრაციანო, ე. ლოლობერიძის ასული—ემილია) ისეთი როლი მიეცათ, რომლის რიგიანად შესრულება მისგან ყოვლად შეუძლებელი იყო. თუ წარმოდგენა არ წახდა, უნდა ვუმადლოდეთ განსაკუთრებით ვ. გუნიას (ოტელლო) და ა. იმედაშვილს (იაგო), და რომელთაც კარგად შეასრულეს ნაკისრი როლები, და აგრეთვე იმ მოვლენას, რომ მსახიობებმა როლები საზოგადოდ კარგად იცოდნენ. **იხარა.**

## წერილი რედ. მიმართ.

ბ. რედაქტორო!

თანახმად ჩემის წარწერისა ქ. ახალციხიდან ფულის გამოსაგზავნ ბლანკზედ, გაახლებთ თვით სიას იმ პირთა, ვინც ინება შემოწირვა თვისის წვლილისა განსვენებული ნატალია გაბუნია-ცაგარლის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის გასაძლიერებლად. სულ მოგროვდა სამოცი მან. 50 კაპ. აქედან 25 კაპ. ფოსტის ხარჯად წავიდა, დანარჩენს 60 მან. და 25 კაპეიკს გიგზავნით და გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ*)

დეკანოზი **ე. ხახუტაშვილი.**

სია შემომწირველთა:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მღ. ბენიამენ კანდელაკი | 3 | — |
| დეკანოზი ე. ხახუტაშვილი | 3 | — |
| ი. მაისურაძე | 3 | — |
| Лоладзе | 4 | — |
| М. Нанейшвили | 3 | — |
| გიორგი კიკნაძე | 3 | — |
| ვლ. დაფქვიაშვილი | 3 | — |
| ეპიფონე სავანელი | 3 | — |
| ივანე ხმალაძე | 1 | — |
| გ. ევსტაფიევი | 1 | — |
| ვნ. მარდიაშვილი | 5 | — |
| რ. ალელიშვილისა | 2 | — |
| Н. Накашидзе | 1 | — |
| ტ. მაისურაძე | 1 | — |
| ნადირაძე | 1 | — |
| ოქროპირ გვარამაძე | 1 | — |
| ანტონ პავლეს ძე მაისურაძე | 3 | — |
| პ. სეხნიევი | 1 | — |
| პეტრე ხუნდაძე | 1 | — |
| ივანე ბეთანაშვილი | 1 | — |
| თ-დ. ი. ჯავახიშვილი | 1 | — |
| პ. ბუტკოვსკი | 1 | — |
| ამაშუკელი | 1 | — |
| მღ. ალექ. ზედგენიძე | 1 | — |
| მღ. გიორგი ჯამასპიშვილი | — | 50 |
| ვინმე იპოლიტე | 1 | — |
| ბაბო ლოლობერიძისა | 1 | — |
| მ. კვალიაშვილი | 5 | — |
| ი. ასათიანი | 1 | — |
| ნიკო ასათიანი | 1 | — |
| ევგენ ათაბეგი | 1 | — |
| საშა ბაიბურთელი | 1 | — |
| ანნა გოგინოვისა | 1 | — |

სულ 60 მ. 50 კ.

*) ეს ფული უკვე გადაეცა ქ. დრამ. საზ. გამგეობას. რედ.


## განცხადებანი

**ექიმი ნიკო ერისთავი ბათუმში**

სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი ღებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს. მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლევებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეთოდით, სისხლის და ნაზველის მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ბათომი ვლადიკავკავის ქ. N 24

(20—171—18)

**ისყიდება 500 ოთხკუთ. საჟენი ზემო-ავჭალაში**

ლობით და ერთი ოთახით. მსურველს ფასი შეუძლიან გაიგოს: რიყის ქუჩა, № 4, საპარიკმახეროში, შაქრო ბაზიეროვთან. (2—206—2)

**დოქტ. ნავას. [illegible]**

ყოველ დღე, [illegible]

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

**ბ. ა. ნავახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ზ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

საღამოთი:

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. გ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცინშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავახარდიანი.**

**გამოცდილი მასწავლებელი**

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც—პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც)

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე მეცადინეობა იქნება ორ ადგილას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала) (თ—152—21)

**◀ მშობიარეთათვის ▶**

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოლგას ქ., ბებიოს ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მოსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—716)

ვ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**აკადემიური ჭრის კურსები**

**პეტერბურგის გამომჭრელთა საზოგადოებისა**

ერთად ერთი რუსეთში. აღწერილობანი კურსების და ჭრის სახელძღვანელოები უფასოდ იგზავნებიან.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროს. 67. გამგეობა. (4—216—2) Метцль и Ко. 12073

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთოევის მრეწველობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

**ძმ. ძეგველოვების მაღაზია**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ—128—33)

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

ერთად-ერთი საწყობი ფოთოევის მრეწველობისა.


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ გამომცემელი იროდიონ სონღულაშვილი.